დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

საპროექტო იდეის სახელწოდება	*მიუთითეთ წარმოდგენილი პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით* *<<სახელწოდებამ ნათლად უნდა აჩვენოს საპროექტო იდეის/წინადადების შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან და სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიებასთან. თავი აარიდეთ განსაკუთრებული ტერმინების, იდიომებისა და აკრონიმების გამოყენებას.>>ს* **„სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს მონასტრის უნიკალური პოტენციალის გამოყენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის“**
სრიგპ-სთან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი საპროექტო იდეა, კერძოდ:* *ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 400 სიმბოლო.* <<თქვენი საპროექტო წინადადება, მისი სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები, მკაფიოდ უნდა აჩვენებდეს შესაბამისობას სრიგპ-ის მიზანთან/მიზნებთან, ღონისძიებასთან/ღონისძიებებთან და ქვე-ღონისძიებასთან/ქვე-ღონისძიებებთან. მიუთითეთ პრიორიტეტის ნომერი და სახელწოდება. მიუთითეთ სრიგპ-ის დასახელებული პრიორიტეტის ქვეშ შესაბამისი ღონისძიების ნომერი და სახელწოდება.>> **პრიორიტეტი 2**. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა: **ქვე-ღონისძიება 2.1. ა.** „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება” • მცირე ზომის თანმხლები ინფრასტრუქტურა (ელექტროენერგიის მიწოდების ქსელის გამართვა, საპარკინგე ადგილები, სანიტარული წერტილები და სხვა.) ტურისტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარეთ და დაცული ტერიტორიების მიმდებარედ;[1] • მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო დაფები, ბილიკების, ტურისტების თავშესაფრების, ბანაკის და დასვენების ადგილების მარკირება, მუზეუმები და საგამოფენო ცენტრები და სხვა); • რეკრეაციულ ფუნქციებთან დაკავშირებული სხვა მცირე ზომის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გასაყიდად ადგილების მომზადება.
საპროექტო იდეის წარმდგენი	*მიუთითეთ საპროექტო იდეეს ოფიციალური წარმდგენი* *<<განმცხადებელი არის მუნიციპალიტეტი რომელიც დაფინანსებისთვის განაცხადით მიმართავს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს)>* **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია**
	ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: << მოცემული კონკურსისთვის, პარტნიორი არიან ორგანიზაციები, სააგენტოები ან/და მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ფულადი კონტრიბუცია არ შეაქვთ

[1] საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ შესაბამისად

	პროექტში, ასევე არ მიიღებენ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს პროექტისაგან.>> **არა**
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი: <<გთხოვთ მიუთითოთ წარმდგენის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი>> **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი წერეთლის ქ. N 2.**
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ. - ფოსტა: <<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>> **contact@chokhatauri.gov.ge**
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:* **გურია**
	მუნიციპალიტეტი: **ჩოხატაური**
	იმ ქალაქის/ების, სოფელის/ების ჩამონათვალი (თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი) **სოფელი შუა ამაღლება**
პროექტის მიზანი/მიზნები	*ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო* *გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები* *<<როგორც წესი, მსგავს პროექტებს აქვს ორი ტიპის მიზანი:* *ა) სტრატეგიული მიზანი - ესაა პროექტის დაგეგმილი წვლილი სრიგპ-ისა და მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე არსებულ შესაბამის დოკუმენტებში (მაგ. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია, რეგიონის განვითარების სტრატეგია ა.შ.) მოცემული პრიორიტეტების მიღწევაში;* *პროექტს შესაძლოა ჰქონდეს 1-ზე მეტი სტრატეგიული მიზანი.* *ბ) კონკრეტული მიზანი - ეს არის იმ სასურველი გზის განსაზღვრა, რაც აუცილებელია პროექტში („პროექტის აღწერა/დასაბუთების" ველში) მითითებული კონკრეტული პრობლემის წარმატებით გადაჭრისთვის.* *როგორც წესი, პროექტს აქვს ერთი კონკრეტული მიზანი.* *რეკომენდირებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის>>* **სტრატეგიული მიზნები:** • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად ათვისების ხელშეწყობა; • მუნიციპალიტეტის უნიკალური პოტენციალის გამოყენება და ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისთვის მიმზიდველი და უსაფრთხო ტურისტული გარემოს შექმნა; **კონკრეტული მიზანი:** • უდაბნოს მონასტრის კომპლექსთან მისასვლელი გზის და მასთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა .

მოსალოდნელი შედეგები	*ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო* *ჩამოთვალეთ მოსალოდნელი შედეგები ორ ტიპად, შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს.* *<<შედეგი არის ის, რასაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. მიუთითეთ კავშირი სრიჰგ-ის შესაბამისი ღონისძიების/ქვეღონისძიების, ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).* • .... • .... *ა) გრძელვადიანი შედეგი (საბოლოო შედეგები) არის ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს საბოლოო ბენეფიციარებისთვის პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.* *ბ) კონკრეტული შედეგი (მყისიერი შედეგი) არის პროექტის განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა და იგი ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.* *გრძელვადიანი და კონკრეტული შედეგების ფორმულირებისას, უნდა გქონდეთ ნათელი წარმოდგენა ინდიკატორებზე, რომლებიც ამ შედეგების მიღწევის დონის გასაზომად იქნება გამოყენებული. შესაბამისად, შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. ლოგიკური ჩარჩო პროექტის შედეგების სწორად ფორმულირების კარგი ინსტრუმენტია>>* **პროექტის გრძელვადიანი შედეგები:** • გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი • გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები • ადგილობრივი მოსახლეობა და ვიზიტორები სარგებლობს შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურით. **პროექტის მყისიერი შედეგები:** • შექმნილია ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: 1 საინფორმაციო დაფა, 2 საპიკნიკე ფანჩატური 2 საპარკინგე ადგილით, 1 სველი წერტილი (საპირფარეშო), პროდუქციის სარეალიზაციოა 2 სავაჭრო დახლი, 1 გადასახედი მოედანი, კელიებთან ჩასასვლელი 12 მ. კიბე მოაჯირით, 110 მ. საფეხმავლო ბილიკები მოაჯირით მონასტრის ეზოში, წყაროსთან მისასვლელი ენბაზის ბილიკი, 2066 მ. სიგრძის და 3 მ სიგანის მონასტერთან მისასვლელი ბეტონის გზა და 1034 მ ასფალტის გზა 4მ სიგანის • გაუმჯობესებულია სოფლისა და სამონასტრო კომპლექსის იერსახე. • გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების კმაყოფილების დონე; • ადგილობრივ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა მცირე სავაჭრო-სამეწარმეო იდეების განხორციელებისთვის.

საპროექტო იდეის აღწერა/დასაბუთება	*გთხოვთ, დაასაბუთოთ თუ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, ან პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. გთხოვთ, მაქსიმალური მითითება გააკეთოთ არსებულ რეგიონების განვითარების სტრატეგიებზე, ადგილობრივი განვითარების ეკონომიკურ გეგმებზე, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებზე ან პირდაპირ-სრიგპ-ში მოცემული შესაბამისი ღონისძიების აღწერაზე:* *ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,900 სიმბოლო.* << *აღწერეთ, რატომ არის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი. რომელ ჯგუფებზე აქვს ყველაზე დიდი გავლენა მოცემულ პრობლემას და როგორია ეს გავლენა* *მოკლედ აღწერეთ პროექტი, ხაზი გაუსვით მის სოციალურ-ეკონომიკურ როლსა და ადგილობრივ/ რეგიონულ გავლენას. მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი.* *მიუთითეთ, როგორ მოუტანს თქვენი პროექტი სარგებელს ბენეფიციარებს, სამიზნე ჯგუფებს ადგილობრივ, რეგიონულ დონეზე. ახსენით, რა ცვლილებას განახორციელებს თქვენი პროექტი. გთხოვთ დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს მოცემული პროექტი.* *იმ შემთხვევაში თუ თქვენი პროექტი მიმართულია ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერისკენ (მაგ. ხალხური რეწვის პროდუქციის სავაჭრო ადგილები), მოგვაწოდოთ ინფორმაცია ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესახებ, დაასაბუთეთ გადაწონის თუ არა მიზნობრივი ჯგუფის და მუნიციპალიტეტის მოსალოდნელი სარგებელი დანახარჯებს* >> **უდაბნოს მონასტერი** - წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი განლაგებულია გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ამაღლების მთის ფერდობზე. კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ნახევრად კლდეში ნაკვეთი, მცირე ზომის იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დარბაზული ეკლესია. ფერდობის ქვედა ნაწილში კიდევ 4 გამოქვაბულია (სავარაუდოა, რომ სალოცავის მოვალეობას ასრულებდა). მონასტრის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი, მშენებლებს მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ნახევარი აუგიათ. მკვლევართა ნაწილი არქიტექტურული მონაცემების მიხედვით, მას VI საუკუნის ძეგლად მიიჩნევს. კლდეში გამოკვეთილი ეკლესიისა და სენაკების გამო უდაბნოს გურიის ვარძიას უწოდებდნენ. მღვიმე ეკლესიიდან 200 მეტრის დაშორებით მდებარეობდა მეორე ეკლესია. ეს იყო თლილი ქვისგან ნაგები, უგუმბათო, ვრცელი, დარბაზული ტიპის ნაგებობა ღრმა ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესია აუგიათ 1858 წ. წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელზე. ეკლესია დაანგრია ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1958 წელს სამშენებლო მასალების მოპოვების საბაბით. ნგრევას გადარჩა აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები. 2007 წელს, ახალი ეკლესიის აშენების საბაბით მოხდა შემორჩენილი კედლების დემონტაჟი, აშენდა ახალი ეკლესია. უდაბნოს მონასტერი ცნობილი იყო საგანმანათლებლო მოღვაწეობით. აქ სწავლობდნენ საღვთო სჯულს, ფილოსოფიას, ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას და სხვა. მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, სადაც ძველი ქართული ხელნაწერები ინახებოდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „უდაბნოს მრავალთავი", რომელიც არ ჩამოუვარდება უძველეს ქართულ ხელნაწერს - 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავს.

	სამონასტრო კომპლექსი მუნიციპალიტეტის მთავარი უნიკალური პოტენციალის მემკვიდრეობის ძეგლია. მას მოსალოცად და ტურისტული მიზნით მრავალი ვიზიტორი სტუმრობს, მაგრამ გაუმართავი საგზაო ინფრასრუქტურის გამო ვიზიტორებს მნიშვნელოვანი დაბრკოლება ექმნება სამონასტრო კომპლექსზე წვდომაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ვიზიტორების ჯგუფები ვერ ახერხებენ კომპლექსის მონახულებას, რადგან სამგზავრო ტრანსპორტის უმეტესობა ლოკაციამდე ვერ ადის და ვიზიტორები იძულებულია დარჩენილი მანძილი ფეხით დაფაროს, რაც ყველას არ შეუძლია და შედეგად ვერ ახერხებს კომპლექსის მონახულებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ლოკაციის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა რაც მოცავს 2066 გრძივი მეტრის ბეტონის გზის მოწყობას სანიაღვრე არხებით. მოეწყობა სამონასტრო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გადასახედი მოედანი, კელიებთან ჩასასვლელი 12 მ. კიბე მოაჯირი, მონასტრის ეზოში 110 მ. საფეხმავლო ბილიკები მოაჯირით, წყაროსთან მისასვლელი ენბაზის ბილიკი და სველი წერტილი. პროექტის ფარგლებში ასვევ გათვალისწინებულია ადგილობრივი ხელნაკეთი და სასურსათო პროდუქციის სავაჭრო დახლების, საპიკნიკე ფანჩატურების და პარკინგების მოწყობა, რითაც მოსახლეობას ეძლევა ადგილზე ნაწარმოები მრავალფეროვანი პროდუქციის ვიზიტორებზე შეთავაზების შესაძლებლობა რაც მათი ეკონომიკურად გაძლიერების და დასაქმების ადგილების შექმნის წინაპირობაა. ადგილობრივ პროდუქციიდან აღსანიშნავია ქვაში ნაკვეთი კეცების წარმოება რისი მდიდარი ტრადიციაც მრავალ საუკუნეს ითვლის. აღსანიშნავია ადგილობრივი წარმოების ღვინო, თაფლის წარმოება, სასოფლო-სამეურნეო და კულინარიული პროდუქტები. სოფელში არიან სხვადასხვა ტიპის სუვენირული და ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლებიც. აღნიშნული პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვნად გაიზრდება მუნიციპალიტეტის ცნობადობა და მისი იმიჯი ქვეყნის მასშტაბით და საზღვაგარეთ, შედეგად გაიზრდება კმაყოფილ ვიზიტორთა რაოდენობა რაც პირდაპირ აისახება მუნიციპალიტეტის კერძო სექტორის და მუნიციპალური შემოსავლების ზრდაზე. პროექტი სრულად პასუხობს მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტით დასახული მიზნების და ამოცანბეის ნაწილს, კერძოდ **მიზანი 1**-ს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად ათვისების ხელშეწყობა და **ამოცანა 1.3**-ს ტურისტული-დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა; პროექტი შესაბამისობაშია **სრიგპ-ს პრიორიტეტი 2**.-თან უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა: და **ქვე-ღონისძიება 2.1 ა.** -თან. „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება”
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ჩამოთვალეთ ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* *ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო* *გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* *<<მოცემული ველი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობებზე, რომლებიც განხორციელდება პროექტის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. მოცემული ველი უნდა აღწერდეს პროექტის მოსამზადებელ ეტაპებს/სამუშაოებს, მოსახლეობასთან კონსულტაციას, საპროექტო დოკუმენტების წინასწარ შეფასებას, ტენდერებს და კონკურსებს, პროექტის მენეჯმენტს, ტექნიკურ სამუშაოებს, ზედამხედველობას,*

	ანგარიშგებას და ა.შ. აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა სათანადოდ უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში და დროის განრიგში. წარმოადგინეთ პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობათა დეტალური აღწერა. წარმოადგინეთ, როგორ იქნება სამუშაოები განაწილებული პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის>> 1. სატენდერო კომისიის შეკრება; 2. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება სამუშაოს შესასყიდად; 3. ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა; 4. გამოვლელნილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადება; 5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიწყება საპროექტო სახართჯაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები: მოეწყობა 1 საინფორმაციო დაფა, 2 საპიკნიკე ფანჩატური 2 საპარკინგე ადგილით, 1 სველი წერტილი (საპირფარეშო), პროდუქციის სარეალიზაციოა 2 სავაჭრო დახლი, 1 გადასახედი მოედანი, კელიებთან ჩასასვლელი 12 მ. კიბე მოაჯირით, 110 მ. საფეხმავლო ბილიკები მოაჯირით მონასტრის ეზოში, წყაროსთან მისასვლელი ემბაზის ბილიკი, 2066 მ. სიგრძის და 3 მ სიგანის მონასტერთან მისასვლელი ბეტონი გზა და 1034 მ ასფალტის გზა 4მ სიგანის. 6. მერიის ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოების პერიოდული მონიტორინგი. 7. სამუშაობზე მუდმივი მონიტორინგი - შპს „ზაისი და კომპანია“ -ს მიერ. (მუნიციპალიტეტს კონტრაქტი აქვს გაფორმებული ზემოთაღნიშნულ საზედამხედველო, საექსპერტო კომპანიასთან) 8. პროექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა. 9. რეაბილიტირებული სივრცის პრეზენტაცია. 10. პროექტის ანგარიშის მომზადება
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებში პროექტის მონაწილეობის (წვლილის) დონე	*გთხოვთ, აღწეროთ თუ როგორ უწყობს ხელს პროექტი პროგრამის/ღონისძიებისთვის დადგენილი კონკრეტული ინდიკატორების მიღწევას:* *თუ თქვენი პროექტი არის ინფრასტრუქტურული ან მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას, მიუთითეთ დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო ზრდა %-ში, . (დაასახელეთ დამოწმების წყაროები)* **საბოლოო შედეგების ინდიკატორები** • გაზრდილი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი (ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით) • გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში (შედარება 2020 წლის მონაცემთან) • გაზრდილი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები (ადგილობრივი მოსახლების გამოკითხვა) • ადგილობრივი მოსახლეობა და ვიზიტორები სარგებლობს შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურით. (რაოდენობრივი და ვიზუალური მაჩვენებლები) **მყისიერი შედეგების ინდიკატორები:** • შექმნილი ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა: 1 საინფორმაციო დაფა, 2 საპიკნიკე ფანჩატური 2 საპარკინგე ადგილით, 1 სველი

	წერტილი (საპირფარეშო), პროდუქციის სარეალიზაციოა 2 სავაჭრო დახლი, 1 გადასახედი მოედანი, კელიებთან ჩასასვლელი 12 მ. კიბე მოაჯირით, 110 მ. საფეხმავლო ბილიკები მოაჯირით მონასტრის ეზოში, წყაროსთან მისასვლელი ენბაზის ბილიკი, 2066 მ. სიგრძის და 3 მ სიგანის მონასტერთან მისასვლელი ბეტონის გზა და 1034 მ ასფალტის გზა 4მ სიგანის. • გაუმჯობესებული სოფლისა და სამონასტრო კომპლექსის იერსახე. (შესაბამისი ამსახველი ფოტომასალა) • გაზრდილი ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების კმაყოფილების დონე; (მოსახლეობისა და ვიზიტორების გამოკითხვა) • ადგილობრივმა მოსახლეობამ მოახდინა სხვადასხვა სავაჭრო-სამეწარმეო იდეების განხორციელება. (ადგილობრივი პროდუქციის რეალიზატორების რაოდენობა)
ურთიერთშევსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:* **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადდა და დამტკიცდა მუნიციპალიტეტის "საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2020-2023", ამოცანა 1.3 ითვალისწინებს ტურისტული-დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაც აღნიშნული საპროექტო იდეის მიზნებთან სრულ თანხვედრაშია .**
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, დაასახელოთ ვინ აანაზღაურებს საექსპლუატაციო და მიმდინარე ხარჯებს პროექტის დასრულების შემდგომ? გთხოვთ, დაასახელოთ დამფინანსებელი დაწესებულება ან/და დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):* *აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.* *<<დაწესებულება/ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის მდგრადობა შესაბამისი რესურსების გამოყენებით. დაწესებულება/ორგანიზაცია ვალდებულია კერძო სექტორის, გარე რესურსების მოზიდვით უზრუნველყოს მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოები.>>* *ეკონომიკური ან სოციალური პროფილის პროექტის შემთხვევაში აღწერეთ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროექტის მიერ წამოწყებული/მხარდაჭერილი საქმიანობის/პრაქტიკის/პროდუქტის დაფინანსება პროექტის დასრულების შემდეგ.* • კონტრაქტორი ორგანიზაცია საგარანტიო ვადის განმავლობაში ექსპლუატაციის პროცესში რაიმე წუნის, (ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებული იქნება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება-დეფექტი, საკუთარი ხარჯებით.

	• საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ მიღწეული შედეგის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
პროექტის იდეის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. განსაკუთრებით, გთხოვთ მიუთითოთ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია თუ არა, ბიუჯეტი გამოყოფილია თუ არა და ა.შ:* **მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შ.პ.ს. „ფესმეიქერ"-ის და „ნიუ როუდ პროჯექტ"-ის მიერ.**
მოთხოვნილი მხარდაჭერა	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ:* პროექტის სავარაუდო ღირებულებაა **741246 ლარი**
ვადები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):* **პროექტის განხორციელების პერიოდი 5 თვე**
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულება (ლარში), დაფინანსების წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მინიმალური ოდენობა (პროცენტით):* **1. სრიგპ – 1056828 ლარი (99 %)** **2. საკუთარი თანადაფინანსება – 10675 ლარი** **3. სხვა წყაროები – 0 ლარი** **4. მთლიანი ბიუჯეტი – 1067503 ლარი**
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ. - ფოსტა):* ზაზა ცინცაძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების უფროსი. 599190159 zaza.vzu@gmail.com